N 235 25/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატის ცისანა ურუშაძის

მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის

წარდგენის ოქმი.

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 21.06.2019 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრი და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატი ცისანა ურუშაძე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დურმიშხან ხოფერია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ავალდებულებს ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარ დეპუტატს, რომ წელიწადში ერთხელ თავის ამომრჩეველს წარუდგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რათა მოსახლეობა იყოს საქმის კურსში იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა. პრობლემა ბევრია და ყველაფერი ერთბაშად ვერ მოგვარდება, მაგრამ უნდა გამოიკვეთოს, თუ რა არის პრიორიტეტი და რისი გაკეთება იგეგმება სამომავლოდ.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს წევრი და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატი ცისანა ურუშაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას მობრძანებისა და ჩართულობისთვის. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება.

საკრებულოს წევრმა და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატმა ცისანა ურუშაძემ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 88-ე მუხლის თანახმად წარმოადგინა 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 20 ნოემბრამდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიაში, ასევე საკრებულოს ფრაქციაში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 12 როგორც მიმდინარე, ასევე რიგგარეშე სხდომაზე. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 4 და ფრაქციის 8 სხდომაში. გაიარა სასერთიფიკატო სამკვირიანი კურსები. როგორც საკრებულოს წევრი აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში. გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტი. საანგარიშო პერიოდში განხილული და დამტკიცებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამები, მისი გაცემისა და მიღების წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებები და მისი დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, მოწონებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტები და ა.შ.

როგორც საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს, გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვედრები ქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან). მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დაარსდა ,,სამართლიან ქალთა კლუბი“, რომელიც ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. პირველი ეტაპისთვის მათი ძალისხმევით ნათელა შაინიძეს საჩუქრად გადაეცა ინვალიდის ეტლი, ასევე შეჭირვებულ ოჯახებს დაეხმარნენ ტანსაცმლით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ჯაბელი - გვიმბალაურის დამაკავშირებელ გზაზე 210 მეტრ სიგრძის მონაკვეთზე დაიგო რკინა-ბეტონის გზის საფარი - 36855 ლარი;
- გვიმბალაური - დაფნარას (ზემო ჩიბათი-ჯუნეწერი) დამაკავშირებელი გზა-31554 ლარი;

- სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უზრუნველყოფა სახლის სახურავის სამშენებლო მასალით -19 ოჯახი;
- სახლის სახურავის სრულიად გადახურვა მუნიციპალიტეტის მხრიდან სრულილი უზრუნველყოფით-2 ოჯახს;
- საცხოვრებელი სახლის შეკეთებაზე დახმარება -2 ოჯახი (2600 ლარი);
- საჭიდაო დარბაზის სახურავის სამშენებლო მასალა;
- ილია გალოგრეს ეზოს მიმდებარედ გაწმენდითი სამუაოები - 1386 ლარი;

სოფლის პროგრამა - 28000 ლარი;

- სპორტული მოედნები - გვიმბალაური, ჯუნეწერი;
- გვიმბალაურის სასაფლაოს ეზოს შეღობვითი სამუშაოები.

სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ფარგლებში. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში:

- მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამით ისარგებლა - 29-მა ბენეფიციარმა (4153,05 ლარი);
- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით ისარგებლა - 10 ბენეფიციარმა (2716 ლარი);
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია - 13 ბენეფიციარს (2000 ლარი);
- C ჰეპატიტის პროგრამაში ჩართულია -3 ბენეფიციარი (201,70 ლარი);
- სათბობი შეშით დახმარება გაეწია - 2 ბენეფიციარს;
- ქირავნობის პროგრამაში ჩართულია -2 ბენეფიციარი;
- ყოველთვიურ დახმარებას იღებს - ომის 3 ვეტერანი (ყოველთვიურად-50 ლარი);
- ადვოკატირება და სოციალური პაკეტების დანიშვნა -2 ოჯახი;
- ადვოკატირება სოციალურად დაიცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების თაობაზე -7 ოჯახი.

როგორც საკრებულოს წევრი და მაჟორიტარ დეპუტატი აგრძელებს მუშაობას და მოსახლეობასთან შეხვედრებს მიმდინარე წელს სოფელში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით. კერძოდ:

- გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მიმდებარე ტერიტორიზე რკინა-ბეტონის გზის საფარის დაგება;
- სანიაღვრე არხების მოწყობა მეგობრობისა და თაყაიშვილის ქუჩებზე;
- სოფელ გვიმბალაურში წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაციის, წყალსადენი მაგისტრალისა და წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობა. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 351 ოჯახის გამრიცხველიანება, მაგრამ საკრებულოს წევრის თქმით, ეს არ იქნება საკმარისი, რადგან ამით მოგვარდება სოფელ გვიმბალაურის მხოლოდ ზედა მხარის პრობლემა, ხოლო ქვედა ნაწილის მოსახლეობა კვლავ უწყლოდ რჩება.
- ბენზინგასამართ სადგურ ,,სოკარი“-ს მიმდებარე ტეროტორიაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. ამასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ მის მიერ მოძიებულ იქნა 2004 წელს ,,სოკარი“-ს ხელმძღვანელობასთან

გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული სკვერის კეთილმოწყობა. კერძოდ: შემოღობვა, გამწვანება, გარე განათების მოწყობა და ფანტანის გაკეთება. ამასთან, გვიმბლაურის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ წერილობითი

-

- შუამდგომლობით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ სკვერს მინიჭებოდა ჯამბულატ ხოფერიას სახელი.
- სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესულების მშენებლობა. საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელიც აერთიანებს ორ დიდ სოფელს, არ ფუნქციონირებს არც საბავშვო ბაღი და არც სკოლა. სკოლამდელი დაწესებულების განთავსების მიზნით, მათ მიერ შეთავაზებული იქნა ყოფილი კლუბის შენობა, მაგრამ ახალი სტანდარტების მიხედვით ეს შენობა ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს. აქედან გმომდინარე, 2019 წლისთვის იგეგმება ორჯგუფიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

საკრებულოს წევრმა ცისანა ურუშაძემ აღნიშნა, რომ ჯუნეწრის ყოფილი დაწყებითი სკოლის შენობა არის ავარიული და ამორტიზირებული. პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ ვის ბალანსზე ირიცხება აღნიშნული შენობა, რის შემდეგაც აუცილებელია მისი დემონტაჟი. სკოლის მიმდებარედ დაწყებულია სტადიონის მშენებლობა. მაჟორიტარი დეპუტატის თქმით, არ არის გამორიცხული, რომ სკოლის შენობა ჩამოინგრეს, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოყვეს.

საკრებულოს წევრი ასევე შეეხო გვიმბალაურის სკოლის შენობას, რომელიც თანდათან იშლება. მას ჰქონდა წინადადება, რომ აღნიშნულ შენობაში განთავსებულიყო დროებითი სოციალური თავშესაფარი თავისი სოციალური საწარმოთი. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციას ,,ბავშვი და გარემო", რომლის პრეზიდენტიც გახლავთ ქალბატონი ნანა იაშვილი სურვილი აქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გახსნას შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო დღის ცენტრი, რომლის პარალელურად ასევე იფუნქციონირებს სოციალური საწარმო.

ამის შემდეგ, მაჟორიტარმა დეპუტატმა მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

მოქალაქე მაყვალა ბარამიძემ აღნიშნა, რომ ჯუნეწერში გზაზე დაყარეს დიდი ზომის ქვები, რის გამოც გადაადგილება ფაქტიურად შეუძლებელია. გარდა ამისა, მთელი სოფლის სახელით გაკეთებულ იქნა წერილობითი განაცხადი, რათა ჯუნეწრიდან გაგრძელდეს გზის გაკეთება. ამასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად უნდა ჩაისვას ჯუნეწერში სანიაღვრე არხების გაკეთება, რადგან ამ საკითხის მოგვარების გარეშე აზრი არ აქვს გზის რეაბილიტაციას. ანალოგიური სიტუაციაა ჯაბელშიც, სადაც მოსახლეობა ასევე ითხოვს დახმარებას სასმელი წლის საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით.

მოქალაქე ციური ხოფერიამ აღნიშნა, რომ გარე განათების ნათურებია შესაცვლელი. ასევე, ,,კვაჭაძის“ შესახვევში დასამატებელია გარე განათების ბოძები. გარდა ამისა, მისი თქმით, საყანე ფართობები საჭიროებს შეღობვას.

ამის შემდეგ, ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრს, მაჟორიტარ დეპუტატს ცისანა ურუშაძეს, რადგან ის ყოველთვის იზიარებს მათ გულისტკივილს და პრობლემებს. ასევე, მათი თქმით, მადლობის ღირსია მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დურმიშხან ხოფერია, რომელიც ყოველთვის ცდილობს გვერდით დაუდგეს ადგილობრივ მოსახლეობას.

თავის მხრივ, საკრებულოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი ცისანა ურუშაძე სოფლის მოსახლეობას დაპირდა, რომ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას სოფელში არსებული რიგი პრობლემების აღმოსაფხვრელად, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ცისანა ურუშაძე

საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები